

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საბავშვო ანაბრის ხელშეკრულება თავსართი

- მეანაბრე:
- პირადი ნომერი
- ანაბრის საპროცენტო განაკვეთი:
- ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ცვლადი.
 - ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი %
 - ანაბრის ლარში განთავსების შემთხვევაში წლიური საპროცენტო განაკვეთი %
 - ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლის მაგალითი:
2011 წლის 01 ივნისს კლიენტმა გახსნა შემდეგი პირობების მქონე საბავშვო ანაბარი: თანხა 3000 ევრო, ვადა 2 წელი (2013 წლის 01 ივნისამდე), წლიური სარგებელი 8,5%ის ოდენობით. თუ კლიენტს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (ანუ 2012 წლის 1 ივნისამდე) შეაქვს ანაბარზე დამატებითი ყოველთვიური შენატანები 100 ევროს ოდენობით, ამ დროისთვის (01/06/12) კლიენტს დაუგროვდება 4200 ევრო ძირითადი თანხა და 302,55 ევრო დარიცხული პროცენტი. საბავშვო ანაბრის პირობების მიხედვით, ანაბრის გახსნიდან გასულ პერიოდში დარიცხული პროცენტი დაემატება ანაბრის ძირითად თანხას რომელიც წლის ბოლოს შეადგენს 4402,55 ლარს (4200+302,55) . თუ მეორე 12 თვის განმავლობაში კლიენტმა კვლავ ყოველთვიურად შემოიტანა 100 ევრო, მაშინ 12 თვის შემდეგ (ანუ 2013 წლის 1 ივნისს) ანაბარზე დარიცხული სარგებელი შეადგენს 429,39 ლარს, რომელიც დაემატება ანაბრის ძირითად თანხას - 5602,55 (4402,55+1200) ლარს. ამრიგად, დეპოზიტის ვადის ბოლოს, ანაბარი ჯამში, თავისი დარიცხული სარგებლით, შეადგენს 6334,49 ლარს (5602,55+429,39). აღნიშნული მაგალითის გათვალისწინებით დეპოზიტის ეფექტური პროცენტი შეადგენს 8.235%-ს
- ანაბრის ვადა დღე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 5.6. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- ფინანსური ხარჯი:
 - ანაბრის თანხის გატანის საკომისიო:
ჩარიცხული თანხის ფარგლებში:
ეროვნული ვალუტა - 0.2%, მინ. 0.50 ლარი (მრავალჯერადი)
უცხოური ვალუტა - 0.5%. ,მინ. 0.50 აშშ დოლარი (მრავალჯერადი)
 - განაღდება ანგარიშიდან - 0 (მრავალჯერადი)
 - ანაბრის გახსნის საკომისიო-0 (ერთჯერადი)
 - ანაბრის მომსახურების საკომისიო - 0 (მრავალჯერადი)
 - ბანკომატით თანხის გამოტანის საკომისიო - 0 (მრავალჯერადი)
- სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- ანაბრის თანხა ევრო
- იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება ვადადღე, ანაბრის გახსნიდან ყოველი ერთი წლისთავზე ანაბარს დაერიცხება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტანდარტული საპროცენტო განაკვეთი, ხოლო ანაბარზე საპროცენტო სარგებლის ბოლო დარიცხვიდან (თანხის დაჯამებიდან) ანაბრის დარღვევის თარიღამდე, ანაბარზე განთავსებულ თანხას დაერიცხება დარღვევის დღისთვის, ბანკში მოქმედი მოთხოვნამდე ანაბრის საპროცენტო განაკვეთის განახევრებული ოდენობა;
- თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.
- ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი და ნებისმიერი სახის საკომისიო, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებებისა საპროცენტო განაკვეთის ან/და ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების შემთხვევაში, გარდა მენაბრის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, ცვლილებამდე ორი თვით ადრე, მენაბრის ინფორმირება მოხდება, მოკლე ტექსტური შეტყობინებით/სატელეფონო ზარით. ასევე, შესაძლებელია ინფორმირება როგორც წერილობითი, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებით (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელ. ფოსტაზე შეტყობინება და ა.შ.).
- მენაბრეს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. (იხ. ბანკის ვებ-გვერდი www.cartubank.ge, <https://www.cartubank.ge/ge/588/momxmareblis-dacva>);
- უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!
 - ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს;
- გაეცანით მომხმარებლისთვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - (+995 32) 2 406

საბავშვო ანაზრის ხელშეკრულება N

სს "ბანკი ქართუ" (შემდგომში - "ბანკი"), წარმოდგენილი, ერთი მხრივ და მეორე მხრივ (შემდგომში - „კონტრაქტი“/“კლიენტი“), ორივე მხარე ერთად კი, „მხარეებად“ წოდებულნი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ანაზარი გახსნილია სასარგებლოდ (შემდგომში „მეანაზრე“)

1. ტერმინთა განმარტებები

აღნიშნული ხელშეკრულების მიზნებისათვის, თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, ტერმინებს აქვთ ის მნიშვნელობა, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ ამ მუხლში:

1.1. ანაზარი/დეპოზიტი - ბანკში კონტრაქტის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომელსაც ბანკი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არიცხავს საპროცენტო სარგებელს;

1.2. მეანაზრე - არასრულწლოვანი პირი 18 წლის მიღწევამდე, ვის სასარგებლოდაც იხსნება ანაზარი;

1.3. კონტრაქტი/კლიენტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, მათ შორის მეანაზრის მშობელი, მეურვე/მზრუნველი, რომელიც მეანაზრეს სასარგებლოდ, ხსნის ანაზარს და განათავსებს სახსრებს ანაზარზე გარკვეული ვადის განმავლობაში;

1.4. მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა კონტრაქტისა და ბანკისა;

1.5. საპროცენტო განაკვეთი/სარგებელი - ანაზრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ცვლადი ფიქსირებული, შერეული ან ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდის მანძილზე;

1.6. დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - დეპოზიტის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი და მიღებული/მისაღები სარგებელი, მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების გაწევისა და სარგებლის მიღების პერიოდის გათვალისწინებით;

1.7. ფინანსური ხარჯი - ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მომხმარებლის მიერ სადეპოზიტო პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 კონტრაქტი მეანაზრის სასარგებლოდ ხელშეკრულების 2.3 პუნქტში მითითებული ვადით განათავსებს ფულად თანხას საანაზრო ანგარიშზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

1.2 ბანკი კონტრაქტის მიერ საანაზრო ანგარიშზე განთავსებულ თანხას დაარცხავს საპროცენტო სარგებელს;

1.3 ანაზრის ვადის გასვლის შემდგომ, მეანაზრე მოიპოვებს ყველა უფლებას, რომელიც წარმოემოხა კონტრაქტს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

2.1 ანაზრის ტიპი - საბავშვო ანაზარი;

2.2 ანაზრის თანხა (ევრო)

2.3 ანაზრის ვადა/დახურვის თარიღი (როცა არასრულწლოვანი ხდება 18 წლის), გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 5.6. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

- 2.4 წლიური საპროცენტო სარგებელის ტიპი ცვლადი, საპროცენტო სარგებლის წლიური ოდენობა
- 2.5 საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდულობა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ მე-12 თვეს და ვადის ბოლოს;
- 2.6 საანაბრო ანგარიშის ნომერი
- 2.7 კონტრაქტის მიმდინარე ანგარიშის ნომერი
- 2.8 მეანაბრის მიმდინარე ანგარიშის ნომერი
- 2.9 ანაბარზე თანხის დამატების შესაძლებლობა - დასაშვებია
- 2.10 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება ვადამდე, ანაბრის გახსნიდან ყოველი ერთი წლისთავზე ანაბარს დაერიცხება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტანდარტული საპროცენტო განაკვეთი, ხოლო ანაბარზე საპროცენტო სარგებლის ბოლო დარიცხვიდან (თანხის დაჯამებიდან) ანაბრის დარღვევის თარიღამდე, ანაბარზე განთავსებულ თანხას დაერიცხება დარღვევის დღისთვის, ბანკში მოქმედი მოთხოვნამდე ანაბრის საპროცენტო განაკვეთის განახევრებული ოდენობა;
- 2.11 წინამდებარე ხელშეკრულებით კონტრაქტი ავალებს ბანკს მისი მიმდინარე ანგარიშიდან, საბავშვო საანაბრო ანგარიშზე მოახდინოს 2.2. პუნქტში მითითებული თანხის გადატანა.
- 2.12 ფინანსური ხარჯი:
- ანაბრის თანხის გატანის საკომისიო:
- ჩარიცხული თანხის ფარგლებში:
- ეროვნული ვალუტა - 0.2%, მინ. 0.50 ლარი (მრავალჯერადი)
- უცხოური ვალუტა - 0.5%, მინ. 0.50 აშშ დოლარი (მრავალჯერადი)
- განაღდება ანგარიშიდან - 0 (მრავალჯერადი)
 - ანაბრის გახსნის საკომისიო - 0 (ერთჯერადი)
 - ანაბრის მომსახურების საკომისიო - 0 (მრავალჯერადი)
 - ბანკომატით თანხის გამოტანის საკომისიო - 0 (მრავალჯერადი)

3. ანაბრის გახსნის წესი

- 3.1 ბანკის მიერ საბავშვო ანაბრით მომსახურებისთვის სავალდებულოა მეანაბრის სახელზე ბანკში გაიხსნას მეანაბრის მიმდინარე ანგარიში და კონტრაქტის სახელზე - კონტრაქტის მიმდინარე ანგარიში;
- 3.2 იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრეს სასარგებლოდ ანგარიშს ხსნის პირი, რომელიც იმავდროულად არ წარმოადგენს მეანაბრეს მშობელს ან მეურვე/მზრუნველს, სავალდებულოა ბანკში მეანაბრის მიმდინარე ანგარიში გახსნას ბავშვის მშობელმა ან მეურვე/მზრუნველმა.
- 3.3 იმ შემთხვევაში, თუ ანაბრის ვადის გასვლამდე მეანაბრის მიმდინარე ანგარიში ნებისმიერი მიზეზით დაიხურება, ბანკი შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და საანაბრო ანგარიშზე არსებულ თანხას გადაიტანს კონტრაქტის მიმდინარე ანგარიშზე, ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით;
- 3.4 კონტრაქტი ვალდებულია ანაბრის ვადის ბოლომდე არ დახუროს მიმდინარე ანგარიში ბანკში, ასეთი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია უარი უთხრას კონტრაქტს მის დაკმაყოფილებაზე ან გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.5. პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება.
- 3.5 იმ შემთხვევაში, თუ ანაბრის ვადის გასვლამდე კონტრაქტის მიმდინარე ანგარიში ნებისმიერი მიზეზით დაიხურება, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. ანაბრის შეტანა. საპროცენტო სარგებელი

- 4.1 ბანკი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე მოიპოვებს საკუთრების უფლებას

ხელშეკრულების 2.6 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე რიცხულ ფულად სახსრებზე (მათი თავდაპირველი და შემდგომი ოდენობის მიუხედავად) და ვალდებულია ანაზრის ვადის გასვლისთანავე დააბრუნოს საანაზრო ანგარიშზე განთავსებული თანხა, ანაზრის ვადის გასვლის დროს არსებული ოდენობით;

4.2 ბანკი ანაზრის თანხას არიცხავს ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებულ საპროცენტო სარგებელს. ანაზრის თანხის პერიოდული ზრდის შემთხვევაში ბანკი სარგებელს დაარიცხავს თანხის შესაბამის გაზრდილ ოდენობას;

4.3 საპროცენტო სარგებლის დარიცხვა წარმოებს ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველი მეთორმეტე თვის ბოლო კალენდარულ დღეს და ხელშეკრულების ვადის ბოლოს. სარგებელი ერიცხება ანაზრის თანხას და პროცენტის დარიცხვა მომდევნო წლიდან ხდება გაზრდილ თანხაზე. ხელშეკრულების მოქმედების ბოლო წელს, ხელშეკრულების ვადის დასრულებისას, ბანკი ანაზრის საპროცენტო სარგებელს დაარიცხავს წინა დარიცხვიდან ვადის ბოლომდე დარჩენილ დღეებზე;

4.4 ბანკი უფლებამოსილია, ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 12 თვეში გადახედოს საბავშვო ანაზრე დასარიცხ წლიურ საპროცენტო განაკვეთს და საჭიროების შემთხვევაში ცვლილება შეიტანოს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცალმხრივად, 4.8 პუნქტის გათვალისწინებით;

4.5 კონტრაქტის უფლებამოსილია, პერიოდულად გაზარდოს საანაზრო ანგარიშზე რიცხული თანხა.

4.6 საანაზრო ანგარიშზე თანხის დამატებით შეტანა ხდება კონტრაქტის მიმდინარე ანგარიშზე კონტრაქტის მიერ თანხის შეტანის გზით, რასაც ბანკი შემდგომ გადაიტანს საანაზრო ანგარიშზე კონტრაქტის დავალების შესაბამისად;

4.7 დაუშვებელია საანაზრო ანგარიშზე რიცხული თანხის შემცირება.

4.8 ბანკი უფლებამოსილია საფინანსო ბაზარზე ანაზრის საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით ცალმხრივად შეცვალოს ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთი. ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ნებისმიერი სახის საკომისიოს ოდენობა. ამასთან, ბანკი და კონტრაქტის თანხმდებანი, რომ ნებისმიერი სახის საკომისიოს/საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, კონტრაქტს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულების 9.3 პუნქტის შესაბამისად;

4.9 კონტრაქტის უფლებამოსილია, საკომისიო გადასახადის გარეშე მიიღოს ინფორმაცია საანაზრო ანგარიშზე ოპერაციების წარმოების შესახებ.

5. ანაზრის განკარგვა. ანაზრე არსებული სახსრების დაგირავება

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დადგომამდე, ანაზრის განკარგვაზე უფლებამოსილი პირია კონტრაქტის, ასევე მის მიერ განსაზღვრული პირი შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.2 ანაზრის ვადის გასვლის შემდგომ (მას შემდეგ რაც, მეანაზრეს შეუსრულდება 18 (თვრამეტი) წელი), მეანაზრე ხდება საანაზრო ანგარიშზე რიცხული თანხის განკარგვაზე უფლებამოსილი პირი, ყოველგვარი დამატებითი წინაპირობების გარეშე;

5.3 ანაზრის ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე, ბანკი უფლებამოსილია, საანაზრო ანგარიშიდან ანაზრის თანხა გადაიტანოს მეანაზრეს მიმდინარე ანგარიშზე.

5.4 ანაზრის ვადის გასვლის შემდეგ, კონტრაქტის კარგავს უფლებას განკარგოს ანაზრის თანხა;

5.5 ანაზრის ვადის გასვლამდე, კონტრაქტს უფლება აქვს ბანკის სასარგებლოდ დააგირაოს საანაზრო ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრები, იმ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად, რომელიც წარმოშობილია ან შესაძლოა წარმოიშვას კონტრაქტს/მესამე პირსა და ბანკს შორის.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ ანაზრის თანხა გამოყენებულია, როგორც ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე წინამდებარე ანაზრის ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება გაიზარდოს ანაზრით უზრუნველყოფილი კრედიტის მოქმედების ვადით ან უფრო მეტი ვადით.

5.7 საანაზრო ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრების მესამე პირის სასარგებლოდ დაგირავების

შემთხვევაში სავალდებულოა ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ბანკს უფლება აქვს არ გასცეს ანაბარი ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

6.2 თუ ბანკი არ გამოიყენებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, დასაშვებია ანაბრის ვადის გასვლამდე წინამდებარე ხელშეკრულების კონტრაქტის მიერ ცალმხრივად შეწყვეტა. ამ შემთხვევაში კონტრაქტი ვალდებულია, წერილობით მიმართოს ბანკს, ხოლო ბანკი კონტრაქტს დაუბრუნებს ანაბრის თანხას მიმართვიდან არაუმეტეს ორი სამუშაო დღისა, ანაბრის ვალუტაში გახსნილ კონტრაქტის მიმდინარე ანგარიშზე ანაბრის თანხის ჩარიცხვის გზით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება ვადამდე, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადის გასვლის შემდეგ, ანაბარს დაერიცხება ბანკის მიერ მოთხოვნამდე ანაბრისთვის დადგენილი სტანდარტული საპროცენტო სარგებლის/ განაკვეთის განახევრებული ოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება ვადამდე, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, ანაბარს არ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი.

6.3 ანაბრის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ანაბარს საპროცენტო სარგებელი არ დაერიცხება;

6.4 ანაბრის ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე, ბანკი ვალდებულია, საანაბრო ანგარიშიდან ანაბრის თანხა და დარიცხული სარგებელი ანაბრის ვალუტაში გადაიტანოს მეანაბრის მიმდინარე ან საბარათე ანგარიშზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.5 კონტრაქტის მიერ, ანაბრის თანხის ნაწილის მოთხოვნის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულება ითვლება კონტრაქტის მიერ ცალმხრივად შეწყვეტილად და კონტრაქტის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად; აღნიშნული არ უშლის ხელს კონტრაქტის შესაძლებლობას ანაბრის დარჩენილ თანხაზე გააფორმოს ანაბრის ახალი ხელშეკრულება;

6.6 მეანაბრის მშობელს ან მეურვე/მზრუნველს არ აქვს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ანაბრის თანხის მოთხოვნის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეანაბრის მშობელი ან მეურვე/მზრუნველი და კონტრაქტი ერთიდაიგივე პირია;

6.7 იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრეს ბანკის მიმართ წარმოეშობა ნებისმიერი სახის შეუსრულებელი ვალდებულება, ბანკი უფლებამოსილია, ანაბრის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, ნებისმიერ დროს საანაბრო ანგარიშზე არსებული თანხა გადაიტანოს მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე და ვალდებულების დაფარვა განახორციელოს მეანაბრის მიმდინარე ანგარიშიდან თანხის უაქცეპტო წესით ჩამოწერის გზით, ვალდებულების პროპორციულად, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 6.8. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.8 იმ შემთხვევაში თუ, ანაბარი გამოყენებულია ბანკის მიმართ კონტრაქტის ან სხვა მესამე პირის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ბანკი უფლებამოსილია, ანაბრის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ბანკის მიმართ წარმოშობილი ვალდებულების დაფარვა განახორციელოს პირდაპირ საანაბრო ანგარიშიდან, თანხის კონტრაქტის მიმდინარე ანგარიშზე გადატანის გარეშე;

6.9 იმ შემთხვევაში თუ, კონტრაქტის მიმართ დაიწყება იძულებითი აღსრულების ნებისმიერი ღონისძიება, ან ადგილი ექნება სხვა გარემოებას, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს კონტრაქტის მიმართ, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.

6.10. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა,

დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

7. კონფიდენციალურობის დაცვა

7.1. შეაგროვოს/დაამუშაოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ებ)ში, მათ შორის სს „კრედიტინფო საქართველოს“ (შემდგომში „ბიურო“) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში და ასევე კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე კლიენტის ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გადასცეს ბიუროს რაც იწვევს კლიენტის აღრიცხვას ბიუროს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნებისთვის. ბიუროს უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ უფლება მიიღონ ბიუროს მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემები, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით. ბანკს უფლება აქვს კლიენტის გადამხდელუნარიანობის შემოწმების, მისთვის მომსახურების გაწევის, შეთავაზებისა და სხვა კანონიერი მიზნით, ძიებების რაოდენობის შეუზღუდავად მოიძიოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ისტორიის მონაცემთა ბაზაში და ასევე, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია კრედიტინფო საქართველოს, კლიენტის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის მიერ გაცემული თავდებობ(ებ)ის შესახებ, ასევე მონაცემთა სუბიექტის ვალდებულებებზე მიღებული თავდებობ(ებ)ის შესახებ, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე კლიენტის აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს

7.2. კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):

7.2.1. მოითხოვოს და მიიღოს კლიენტის შესახებ ნებისმიერ პირთან თუ ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაცია (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები); წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი აცხადებს/აცხადებენ თანხმობას, რომ სს „ბანკი ქართუმ“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტისთვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად, საჭირო

მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

7.2.2. მეანაბრე აცხადებს თანხმობას მის შესახებ ბანკში არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები, ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან და სასესხო ანგარიშთან/განხორციელებულ (განსახორციელებელ) ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ბანკმა გადასცეს სხვა კომერციულ ბანკს, ასევე ბანკის მიერ შერჩეულ მხოლოდ იმ მესამე პირს, რომელთანაც ბანკს გაფორმებული ექნება ხელშეკრულება კონფიდენციალობის დაცვის შესახებ და, თუ აღნიშნული მესამე პირი უზრუნველყოფს მეანაბრის პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვას, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამის უფლებამოსილ პირს, მათ შორის ბანკის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების მიზნებისთვის აუდიტორს, საგადასახადო კონსულტანტს, მრჩეველს, შემფასებელს და მათ დამხმარე პირებს, ბანკსა და მეანაბრეს შორის სასამართლო დავის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციული), სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, ადმინისტრაციული სამართალწარმოების, საარბიტრაჟო წარმოების ან მედიაციის არსებობის შემთხვევაში - სასამართლოს, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, არბიტრაჟს, მედიატორებს, შეუზღუდავად, მიუხედავად იმისა დახურულია თუ არა სხდომა/წარმოება (ხოლო თუ სამართლებრივი დავის მხარე არ არის მეანაბრე, თუ სხდომა/წარმოება დახურულია ან სასამართლოს/სხვა ორგანოს/პირის კანონიერი დავალებით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა მოითხოვა სხდომის/წარმოების დახურვა/გასაიდუმლოება, მაგრამ უარი ეთქვა), ადვოკატ(ებ)ს, კონსულტანტ(ებ)ს და მათ დამხმარე პირებს, ასევე ბანკის მიერ კლიენტის მიმართ თავისი უფლება-მოვალეობის მესამე პირებისთვის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წესით დათმობის/გადაცემის მომზადების/დადების/შესრულების მიზნით.

7.3. მხარეები ვალდებული არიან, არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და მის დასრულების შემდეგაც, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. კონფიდენციალური ინფორმაცია გულისხმობს ამ ხელშეკრულებიდან ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი სხვა სახის შეთანხმებიდან გამომდინარე დოკუმენტურ ან სხვა სახის ინფორმაციას, მათ შორის: ბანკისა და მეანაბრის შესახებ პერსონალურ ინფორმაციას, რომლითაც სარგებლობა შეზღუდული ან აკრძალულია მხარეთა შეთანხმებით/ან და კანონით. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება:

7.3.1. იმ ინფორმაციაზე, რომელიც არის ან გახდება გარეშე პირებისათვის ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად;

7.3.2. იმ ინფორმაციაზე, რომლის მოპოვებაც მოხდება სხვა წყაროებიდან;

7.3.3. იმ ინფორმაციაზე, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.3.4. იმ ინფორმაციაზე, რომელიც ბანკმა გასცა ან/და მიიღო წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მათ შორის ბანკის მიერ მესამე პირისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე, როცა ანაბრის თანხა გამოყენებულია ამ მესამე პირის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად .

7.4. კლიენტი, თანახმაა მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით მიიღოს ნებისმიერი მათ შორის სარეკლამო ხასიათის ინფორმაცია. კლიენტი ვალდებულია იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში აღარ ექნება სურვილი ინფორმაციის მიღების, წერილობით აცნობოს ბანკს და მოითხოვოს აღნიშნულის შეწყვეტა;

8. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები [ფორს-მაჟორი]

8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის [ფორს-მაჟორი] მოქმედების პერიოდში, თუ მისი მიზეზით შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება/ან ჯეროვანი შესრულება.

8.2 „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღობათ;

კერძოდ: სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათი მხრიდან შეუძლებელია.

8.3 თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის შესაბამისად, თანაბარზომიერად გაიზრდება.

8.4 მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და/ ან დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

8.5 შეუტყობინებლობის და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

8.6 შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები საყოველთაოდაა ცნობილი.

8.7 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდება ერთ თვეზე მეტხანს, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეცვალონ ხელშეკრულების პირობები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საერთო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე მოშლა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

9.2 კონტრაქტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა) და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შეცვლის შესახებ;

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება ხდება შემდეგი წესის დაცვით:

9.3.1. ბანკის მიერ კლიენტის სასარგებლოდ, ხელშეკრულების ცვლილება ცალმხრივად, კლიენტის თანხმობის ან/და მისთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე. კლიენტის სასარგებლოდ პირობების ცვლილებაში იგულისხმება ანაზღაურების საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი საკომისიოს, მომსახურების საფასურის, პირგასამტეხლოს თანხის და სხვა ნებისმიერი გადასახდელის შემცირება/გაუქმება, კლიენტის მიერ შესასრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების/პირობის/დამატებითი პირობის (მთლიანად ან ნაწილობრივ) გაუქმება ან მისი შესრულებისთვის დადგენილი ვადის გაზრდა/დამატებითი ვადის მიცემა, კლიენტის განცხადების/მიმართვის/თანხმობის საფუძველზე ხელშეკრულების სხვა პირობ(ებ)ის შეცვლა, ან ნებისმიერი ისეთი ცვლილების განხორციელება, რომელიც აუმჯობესებს კლიენტის მიერ საბანკო პროდუქტით სარგებლობის პირობებს. წინამდებარე პუნქტში მითითებული სახელშეკრულებო პირობების ნებისმიერ ცვლილებას კლიენტი შეიძლება დაეყრდნოს, მხოლოდ ბანკის მხრიდან, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ცვლილების, ოფიციალურად, წერილობით, დადასტურების შემთხვევაში. კლიენტს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ინფორმაცია, მის სასარგებლოდ სახელშეკრულებო პირობების ცვლილებაზე. ბანკი უფლებამოსილია, ინტერნეტ ბანკის საშუალებით, შეტყობინების გაგზავნის გზით აცნობოს კლიენტს განხორციელებული ცვლილების თაობაზე. ასევე, შესაძლებელია კლიენტის ინფორმირება როგორც წერილობითი, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებით (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელ. ფოსტაზე შეტყობინება და ა.შ.). ბანკს, კლიენტის ან სხვა ნებისმიერი პირის მხრიდან, არ შეიძლება დაეკისროს რაიმე პასუხისმგებლობა კლიენტის სასარგებლოდ სახელშეკრულებო პირობების ცვლილებისთვის, მასთან

დაკავშირებული გადასახდელის/სახელმწიფო გადასახადის და სხვა შედეგების გამო.

9.3.2. ბანკის მიერ ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში (გარდა 9.3.1. პუნქტში მითითებული ცვლილებების გარდა), მენაბრის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხოლო ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და მომხმარებლის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო ცვლილების/ფასის ზრდის შემდეგ ხუთი სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების ფორმით ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე. ბანკი არ აგებს პასუხს ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის, თუ კლიენტთან დაკავშირება/მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის მიერ საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების გამო და/ან და აღნიშნულის შესახებ ადრესატს არ ბანკისათვის.

ხელშეკრულებაში ცალმხრივი ცვლილების შეტანა ან/და აღნიშნულზე წინასწარ შეთანხმება დაუშვებელია, თუ ცვლილება:

- ა) ეხება ანაბრის ვალუტას;
- ბ) განპირობებულია ინფლაციის ზრდით, ეკონომიკური ვარდნით და/ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით არაუმეტეს 5 პროცენტული პუნქტისა.

9.3.3 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა განპირობებულია კანონის ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე, ეს ცვლილებები მხარეებისათვის შესასრულებლად სავალდებულო გახდება, კანონმდებლობის შესაბამისად, ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის დღიდან, მიუხედავად იმისა გააფორმებენ თუ არა მხარეები შესაბამისი ცვლილებების დოკუმენტს. ასეთი გარემოებების დადგომის დროს, თუ ხდება კლიენტის სასარგებლოდ პირობების ცვლილება, ბანკს არ ეკისრება ვალდებულება მოახდინოს მეორე მხარისათვის ცვლილებების შესახებ შეტყობინების გაგზავნა. წინამდებარე ხელშეკრულების 9.3.1-9.3.3 პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა ხელშეკრულების ცვლილების სხვა შემთხვევაში, ასევე ბანკის მოთხოვნის/ბანკის თანხმობით, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში 9.3.1-9.3.3 პუნქტით გათვალისწინებულ ცვლილებებზე, წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება ფორმდება მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების გზით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი არ დაეთანხმება ბანკის მიერ შეცვლილ პირობებს, კონტრაქტი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 9.3.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით შეტყობინების მიღებიდან ორი თვის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

9.5 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 9.4 პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კონტრაქტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

9.6 „კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი და ელექტრონული პრეტენზიების წარდგენა ხდება ბანკის მიერ დადგენილი ფორმით (იხ. ბანკის ვებ-გვერდი - www.cartubank.ge), ასევე, შესაძლებელია ელექტრონული პრეტენზიების მიღება ბანკის ელექტრონულ მისამართზე (info@cartubank.ge) გამოგზავნის გზით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით მიღება ხდება სატელეფონო მომსახურების ჯგუფის მიერ, ტელეფონის ნომრებზე: (032) 200 80 80; *8080. პრეტენზიის წერილობით დაფიქსირება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრის საოპერაციო განყოფილებაში ასევე ბანკის ვებ-გვერდის საშუალებით (იხ. ბანკის ვებ-გვერდი - www.cartubank.ge); დაფიქსირებულ პრეტენზიას/ებს განიხილავს სს „ბანკი ქართუს“ მომხმარებელთა უფლებების დამცველი და პრეტენზიის/ების სრულყოფილად შესწავლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს მომხმარებლის მიერ პრეტენზიის დაფიქსირებიდან და, საჭიროების შემთხვევაში,

მომხმარებლის იდენტიფიკაციიდან, 1 თვის ვადისა, პრეტენზიის განმცხადებელს, (გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა) ეცნობება დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონულად (მომხმარებელთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტურად). ამასთან, პრეტენზიის განხილვის პროცესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო სერვისცენტრში ნომრებზე: (032) 200 80 80 ; *8080.“

9.7 კონტრაქტის ვალდებულება გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაძლო გადასახადი, გადასახდელი და მოსაკრებელი, ხოლო ბანკი აღნიშნულთან დაკავშირებით განახორციელებს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ შესაბამის ვალდებულებებს. აღნიშნული წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდგომ წესდება რაიმე გადასახადი, გადასახდელი და მოსაკრებელი.

9.8 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.9 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ შესაძლო დავებს მხარეები მოაწესრიგებენ ურთიერთმოლაპარაკებების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოს. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიაქციოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად;

9.10 მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. ოპერატიულობის მიზნით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება დეპეშით, ტექსტის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ან ბანკის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გზავნილის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინების წერილობითი ფორმაც; წერილობით ფორმას უთანაბრდება ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნა ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, რა დროსაც ინტერნეტ ბანკით განხორციელებულ ხელმოწერას აქვს მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

9.11 წინამდებარე ხელშეკრულებით შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება:

9.11.1 ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.);

9.11.2 თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება სათანადო წესით გაგზავნილად და ადრესატის მიერ მიღებულად ჩაითვლება:

- კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია კლიენტის მიერ, ბანკის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო სამუშაო დღეს;
- ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის თარიღიდან 3 (სამი) დღის ვადაში, მიუხედავად შეტყობინების ფაქტობრივად გაცნობის თარიღისა. კლიენტი ვალდებულია რეგულარულად, თვეში ერთხელ მაინც, გაეცნოს ინტერნეტ ბანკის მეშვეობით მიღებულ შეტყობინებებს.
- ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ, გაგზავნის თარიღიდან მე-2 (მეორე) სამუშაო დღეს; (ბ) თუ შეტყობინება

გაგზავნილია კლიენტის მიერ ბანკის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.

9.12 თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ, იგი მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას;

9.13 თუ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი მიჩნეულ იქნება ბათილად, ეს გავლენას ვერ მოახდენს ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტების ნადვილობაზე. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება ის დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.

9.14 წინამდებარე ხელშეკრულების სათაურებისა და ფრაზების ნუმერაციას აქვს მხოლოდ პირობითი ხასიათი. ნუმერაციის მიზანია დოკუმენტის სისტემურად გამართვა და ადვილად წაკითხვადობა, და აღნიშნული ვერ მოახდენს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ან/და მთლიანი ხელშეკრულების ინტერპრეტაციაზე;

9.15 ხელშეკრულების შინაარსი მთლიანად შეესატყვისება მხარეთა ნების ნამდვილობას.

9.16 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9.17 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება ბანკს, ხოლო ერთი გადაეცემა მესაბრეს.

10. მხარეთა რეკვიზიტები:

სს „ბანკი ქართუ“

კონტრაჰენტი: